სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი №7

სხდომა გაიმართა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის სხდომათა დარბაზში 2026 წლის 3 ივლისს (სხდომა დაიწყო 11:00 სთ-ზე, დამთავრდა 11:30 სთ-ზე).

სხდომას ესწრებოდნენ: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - ჯუმბერი ტყებუჩავა; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე - მანანა გვიჩია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე – ინგა ქარდავა; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე – ბადრი კალანდარიშვილი; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის თავმჯდომარედ - ბადრი ხურცია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე - გიორგი შომახია; სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე - ირაკლი კალანდარიშვილი; სენაკის მუნიციპაიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარე - ზაზა ნაჭყებია; სენაკის მუნიციპაიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის მოადგილე - ელიზბარი ოდიშარია; სენაკის მუნიციპაიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის მოადგილე - ზაზა ყურაშვილი; სენაკის მუნიციპაიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის მოადგილე - ელგუჯა კვაშილავა; სენაკის მუნიციპაიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის მოადგილე - ვლადიმერი კირცხალია; სენაკის მუნიციპაიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს თავმჯდომარის მოადგილე - ნუგზარი ხუხუნი; სენაკის მუნიციპაიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ხალხის ძალა“-ს თავმჯდომარე - ლევანი ჯინორია; სენაკის მუნიციპაიტეტის საკრებულოს ფრაქცია ,,ხალხის ძალა“-ს თავმჯდომარის მოადგილე - ზურაბი აფაქიძე; საკრებულოს წევრები: შაქრო კოკაია; ბადრი შარტავა; მალხაზი ხაბურზანია; ნატო შონია; ნიკოლოზი ქეცბაია; მიხეილ ნადარაია; გიორი წურწუმია; თენგიზი ცეკვავა; სოფიკო კალანდია.

ასევე ესწრებოდა: სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის პასუხისმგებელი პირი: რ. კუპრეიშვილი. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის თანამშრომლები.

სხდომას თავმჯდომარეობდა: სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - ჯუმბერი ტყებუჩავა.

მოისმინეს: 1. მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 3 ივლისის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე – 24; წინააღმდეგი – 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომამ **გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :**

1. დამტკიცდეს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 3 ივლისის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგი შემდეგი რედაქციით:

,,1. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2026 წლის 3 ივლისის რიგგარეშე სხდომის დღის წესრიგის დამტკიცების თაობაზე

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე - ჯუმბერი ტყებუჩავა

2. ,,სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე - ჯუმბერი ტყებუჩავა

3. „სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის და თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების დამტკიცების თაობაზე“

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე - ჯუმბერი ტყებუჩავა

4. ,,სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე - ჯუმბერი ტყებუჩავა“

2. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში სენაკის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ. სენაკი შ. რუსთაველის ქ. №247).

მოისმინეს: 2. ,,სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე - ჯუმბერი ტყებუჩავა

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი – ,,სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის დებულების დამტკიცების შესახებ“.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე – 24; წინააღმდეგი – 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომამ **დ ა ა დ გ ი ნ ა :**

მუხლი 1

დამტკიცდეს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის თანდართული დებულება დანართი №1-ის შესაბამისად.

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,სენაკის მუნიციპალიტეტის გამგეობის დებულების დამტკიცების შესახებ" სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 ნოემბრის №51 დადგენილება.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2026 წლის 07 აგვისტოდან.

მოისმინეს: 3. „სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის და თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების დამტკიცების თაობაზე“

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე - ჯუმბერი ტყებუჩავა

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი – „სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის და თანამდებობის

პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების დამტკიცების თაობაზე“.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე – 24; წინააღმდეგი – 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომამ **დ ა ა დ გ ი ნ ა :**

მუხლი 1.

დამტკიცდეს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის და თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობები თანდართული დანართის შესაბამისად.

მუხლი 2.

ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხის და თანამდებობის პირთა, პროფესიულ საჯარო მოხელეთა და ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობების დამტკიცების თაობაზე” სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 დეკემბრის № 26 დადგენილება.

მუხლი 3.

დადგენილება ამოქმედდეს 2026 წლის 07 აგვისტოდან.

მოისმინეს: 4. ,,სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“

მომხსენებელი: სენაკის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე - ჯუმბერი ტყებუჩავა

მომხსენებელმა საკრებულოს წევრებს გააცნო სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი – ,,სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“.

ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე – 24; წინააღმდეგი – 0) სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომამ **დ ა ა დ გ ი ნ ა :**

მუხლი 1

დამტკიცდეს სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის თანდართული დებულება.

მუხლი 2

ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 30 მარტის №26 დადგენილება.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს 2026 წლის 07 აგვისტოდან.

სხდომის თავმჯდომარემ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების შემდეგ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე: ჯუმბერი ტყებუჩავა